

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალთან დასაბუთებული შრომითი ხელშეკრულების ტიპური ფორმა

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. თბილისი

„ _____ “ _____ “ 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი _____ (შემდგომში - დასაქმებული), ერთად

წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი იღებს სამუშაოზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა, განახორციელოს შრომითი საქმიანობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _____

(ფაკულტეტის დასახელება)

თანამდებობაზე.

(აკადემიური თანამდებობის დასახელება)

1.2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. დასაქმებულის უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს დამსაქმებელს წინამდებარე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის დაცვა;

2.1.2. ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით ამ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად;

2.1.3. ისარგებლოს საქართველოში დაწესებული უქმე დღეებით.

2.1. დასაქმებული ვალდებულია:

2.2.1. დაკავებული თანამდებობის შესაბამისად შეასრულოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, ხოლო დამსაქმებლის მოთხოვნით – მეთოდური სამუშაოც, კერძოდ:

ა) გამოაქვეყნოს არანაკლებ ერთი სტატია წელიწადში რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში;

გ) მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო საინჟინრო/კვლევით პროექტებში;

დ) განახორციელოს საექსპერტო საქმიანობა თავისი პროფილით;

ე) განახორციელოს (აწარმოოს, იზრუნოს) სილაბუსების და საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება/ახლის შექმნა თავის სფეროში;

ვ) მოამზადოს მეთოდური მითითებები, დამხმარე სახელმძღვანელოები, სახელმძღვანელოები.

2.2.2. სასწავლო პროცესის წარმართვისას და სხვა საქმიანობისას იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი დებულებებითა და ინსტრუქციებით.

2.2.3 სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს, პატივი სცეს მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა და შრომის შედეგები.

2.2.4 არ დაუშვას უხეში და მიუღებელი კრიტიკა; კოლეგისა და სტუდენტის კრიტიკა უნდა იყოს მხოლოდ კონსტრუქციული; დაუშვებელია კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება.

2.2.5 აკადემიური პერსონალის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შესაბამისი თანამდებობრივი საქმიანობის ფარგლებში თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილოს უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობები, აქტიური დახმარება გაუწიოს და ხელი შეუწყოს კოლეგებს სხვა საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში.

2.2.6 სტუდენტებთან ჰქონდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის: აკადემიური, რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

2.2.7 არ უნდა გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი ანგარების მიზნით, არ უნდა მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.

2.2.8 სტუდენტებთან საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

2.2.9 თავი უნდა შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისგან, რაც ხელს შეუშლის მის საუნივერსიტეტო მოვალეობების ჯეროვან განხორციელებას.

2.2.10 სისტემატურად უნდა იღწვოდეს აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, მიიღოს აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2.2.11 მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტების მომზადების მიზნით:

ა) სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

ბ) დარგის და მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და პროგრესის კვალდაკვალ, პერიოდულად უნდა განაახლოს სასწავლო კურსის თემატიკა და სტრუქტურა, სრულყოს მისი წარმართვის მეთოდოლოგია (მისი კომპეტენციის ფარგლებში);

გ) გაუწიოს სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა, რისთვისაც ოფიციალურად გამოიყენოს დამატებითი საკონსულტაციო საათები.

2.2.12 სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, დისციპლინასა და სამართლიანობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს არამართო შრომისმოყვარე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, არამედ ქვეყნის პატრიოტი, პატიოსანი, თავისუფალი და კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით იგი ვალდებულია:

ა) ჩაატაროს მეცადინეობები შედგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით, აგრეთვე ყოველი სხვა საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული სასწავლო ცხრილის, გამოცდების (ტესტირებების) და კონსულტაციების გრაფიკების და სტუ-ს სხვა სასწავლო, მეთოდური და ორგანიზაციული ღონისძიებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

ბ) ლექციაზე/მეცადინეობაზე შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია დადგენილი წესის შესაბამისად, მეცადინეობა ჩაატაროს სასწავლო ცხრილისა და სილაბუსის თანახმად. არ უნდა დაუშვას ლექციის/მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან/და გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. დანიშნულ დროს, სათანადო ნორმატიული აქტების შესაბამისად, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა; დამსაქმებლის მიერ დადგენილი პერიოდულობით შეავსოს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით განსაზღვრული სტუდენტის შეფასების ფორმები და დადგენილ ვადებში წარუდგინოს ისინი აკადემიურ დეპარტამენტსა და დეკანატს. სხვა პროფესორ-მასწავლებლის გამოუცხადებლობისას, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაატაროს მეცადინეობა აკადემიურ დეპარტამენტში წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით;

გ) ქმნიდეს ყველა საჭირო პირობას პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისთვის; შეიმუშავებდეს და წერგავდეს (თ.კ.ფ) სწავლების და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს; ხელს უნდა უწყობდეს მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით გამორიცხოს სხვადასხვა არასასურველი (არაკადემიური სახის) პრობლემის წარმოშობა;

დ) სტუდენტებს აწვდიდეს ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ; გამორიცხოს შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური და პოლიტიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. არ დაუშვას ამგვარი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

ე) არ დაუშვას სტუდენტის ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის შესაძლებლობათა გამოყენება ანგარების მიზნით, ან კოლეგებთან უთანხმოების ინსტრუმენტად;

ვ) არ დაუშვას ისეთი ქმედება, რაც გამოიწვევს ან ხელს შეუწყობს რაიმე სახის დაპირისპირებას/უთანხმოებას უნივერსიტეტის პერსონალში, სტუდენტებს ან სტუდენტებებსა და უნივერსიტეტის პერსონალს შორის.

2.2.13. დროულად აცნობოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, თუ მას შეექმნება დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები და მისთვის ცხადი გახდება, რომ ვერ შეძლებს მეცადინეობის ჩატარებას.

2.2.14. დაემორჩილოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს, მის მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში გაცდენილი საათების შესაბამისი ხელფასის დაკავების შესახებ, სემესტრის განმავლობაში

მეცადინეობების 20%-ზე მეტის არასაკაპათო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში განიხილოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საკითხი;

2.2.15. დაემორჩილოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დადგენილი საათობრივი დატვირთვისა და შესაბამისად, შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია დამსაქმებლის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებით ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით;

2.2.16. დამსაქმებლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური პერსონალის აფილირების წესის შესაბამისად;

2.2.17. თანახმაა ხელი შეუწყოს სალექციო ფონდის შექმნას;

2.2.18. წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთ ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში;

2.2.19. დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები;

2.2.20. არ გათქვას კონფიდენციალური ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს;

2.2.21. პირადად და სრულად აგოს პასუხი ნებისმიერი ზიანისათვის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამსაქმებელს, მისთვის მიწოდებული ქონების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით;

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებებისა და ინსტრუქციებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

2.3.2. მოსთხოვოს დასაქმებულს ცნობის წარმოდგენა ფსიქო-ნერვული და ნარკოლოგიური სამედიცინო დაწესებულებიდან.

2.3.3. უნივერსიტეტში დადგენილი წესით, შრომის შედეგების მიხედვით მისცეს დასაქმებულს დანამატი, ბონუსი, ჯილდო ან პრემია.

2.3.4. დაუკავოს დასაქმებულს გაცდენილი საათების შესაბამისი ხელფასი, სემესტრის განმავლობაში მეცადინეობების 20%-ზე მეტის არასაკაპათო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში განიხილოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საკითხი;

2.3.5. მიიღოს გადაწყვეტილება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დადგენილი საათობრივი დატვირთვისა და შესაბამისად, შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციით, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებით ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით;

2.3.6. განახორციელოს დასაქმებულის მიერ ლექცია-სემინარების ჩატარების პროცესის მონიტორინგი დადგენილი წესების შესაბამისად, მათ შორის, აუდიო-ვიდეო საშუალებებით; შექმნას სალექციო ფონდი.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.4.1. გააცნოს დასაქმებულს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, მითითებულ აქტებში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემთხვევაში, გააცნოს აღნიშნული ცვლილებები;

2.4.2. უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შესაბამისი პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის;

2.4.3. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სხვა სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

2.4.4. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

2.4.5. უზრუნველყოს დასაქმებული ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით;

2.4.6. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

3. თანამდებობრივი სარგო

3.1. დამსაქმებელი დასაქმებულს თანამდებობრივი სარგოს სახით უხდის წლიური დატვირთვის _____ საათის შესაბამის ხელფასს, ერთი აკადემიური საათის ანაზღაურებას _____ ლარის ოდენობით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის გადაწყვეტილების შესაბამისად;

3.2. ხელშეკრულების 2.2.15 და 2.3.5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, წლიური საათობრივი დატვირთვის ცვლილებისას და დამსაქმებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია ცალმხრივად მოხდეს ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ცვლილება, რაც არ საჭიროებს ცვლილებას ამ ხელშეკრულებაში;

3.3. დასაქმებულს თანამდებობრივი სარგოდან დაექვეთება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სათანადო გადასახადი;

3.4. თანამდებობრივი სარგო გაიცემა თვეში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 7 (შვიდი) რიცხვისა.

4. სამუშაო დრო და შვებულება

4.1. დასაქმებულის სამუშაო დრო და რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მოთხოვნების/საჭიროების შესაბამისად;

4.2. შვებულება დასაქმებულს ეძლევა წლის განმავლობაში ერთხელ, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

5.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება _____ წლის _____ - დან _____ წლის _____ - მდე.

5.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა მისი შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამსაქმებლის ეთიკის კოდექსის ან/და ამ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე უნივერსიტეტის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის (ხელშეკრულების 2.3.6 პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წერილობითი დასკვნის საფუძველზე.

6. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

6.1. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით;

6.2. მხარეთა შორის შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმებული პროცედურის გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

6.3. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შეთანხმებულ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

7.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები;

7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით;

7.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა ხელშეკრულების 2.2.15, 2.3.5 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს;

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული ხელმოწერი მხარისათვის გადასაცემად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ს/ნ 211349192

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას, 77

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი

(ხელმოწერა)

დასაქმებული

(სახელი, გვარი)

(მისამართი)

(პირადი №)

(ტელეფონი)

(ხელმოწერა)